

# ქობულეთის წყალარინების პროექტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 37560

დარგი: მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა

შეტყობინების სახე: საჯარო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

საბჭოს სხდომაზე განხილვის თარიღი: 2007 წლის 10 ივლისი

სტატუსი: ხელმოწერილი

პროექტის ანოტაციის დოკუმენტის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების თარიღი:

2007 წლის 4 აპრილი

## პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (შემდგომში „ევრობანკი“) 1.5 მილიონი ევროს ოდენობის საკრედიტო რესურსს გამოუყოფს საქართველოს, ქობულეთის წყალმომარაგების კომპანიაზე (შემდგომში „კომპანია“) გადასესხების მიზნით. ხსენებული კომპანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში (შემდგომში „ქალაქი“) წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო საწარმოა. პროექტის მიზანია წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება, წყლის მრიცხველების მონტაჟი, რეზერვუარის მშენებლობა, წყლის გამწმენდი ობიექტის მშენებლობა და კომპანიის დახმარება პროექტის განხორციელებაში, ისევე როგორც ფინანსური და სამრეწველო საქმიანობის გაუმჯობესებაში (შემდგომში „თავდაპირველი პროექტი“).

წყლის გამწმენდი ობიექტის მშენებლობისას წარმოქმნილი ჭარბი ხარჯის დასაბალანსებლად ევრობანკი აპირებს საკრედიტო რესურსის 2.2 მილიონი ევროთი გაზრდას (შემდგომში „გაფართოებული პროექტი“).

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტი ითვალისწინებს შემდეგი მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენას ეკონომიკური გარდაქმნის კუთხით: (i) კომპანიის კომერციალიზაცია, (ii) ბაზრის ჩარჩო სტრუქტურის განსაზღვრა და (iii) უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაზიარება. სახელდობრ, პროექტის ფარგლებში მიღწეული ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი მომდინარეობს კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მართვის გაუმჯობესების

პოტენციალიდან, ასევე საჯარო მომსახურების კონტრაქტირების პრინციპის დანეგვიდან, სატარიფო სისტემის რეფორმიდან და მოხმარებაზე დაფუძნებული ანაზღაურების პრინციპიდან.

## კლიენტი

ძირითადი სესხის მიმღებია საქართველო (შემდგომში „მსესხებელი“), რომელიც ქობულეთის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო კომპანიაზე (შემდგომში „კომპანია“) მოახდენს საკრედიტო რესურსის გადასესხებას. ხსენებული კომპანია არის ქობულეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში „ქალაქი“) წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების კომპანია.

## ევრობანკის დაფინანსება

ძირითადი სესხის მოცულობაა 1.5 მილიონი ევრო, რომლის გადასესხებაც მოხდება კომპანიაზე.

პროექტის გაფართოება გულისხმობს დამატებით 2.2 მილიონი ევროს ოდენობის დამატებითი საკრედიტო რესურსის გამოყოფას.

## პროექტის ღირებულება

თავდაპირველი პროექტის ჯამური ღირებულება - ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტის ჩათვლით - 15.7 მილიონი ევრო იყო. შემოთავაზებული გაფართოებით, პროექტის ჯამური ღირებულება 2.6 მილიონი ევროთი გაიზარდა - ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტის ჩათვლით.

## გარემოსდაცვითი ეფექტი

ევრობანკის 2003 წლის გარემოსდაცვითი პოლიტიკის საფუძველზე პროექტს B/1 კატეგორია მიენიჭა. საკრედიტო რესურსის დამატება იძლევა წყლის გამწმენდი ობიექტის მშენებლობის დასრულების საშუალებას, რაც თავდაპირველი პროექტის ფარგლებში იყო დაგეგმილი. აშენდება აგრეთვე მეორადი გამწმენდი ნაგებობა და გამდინარე წლის გამშვები ობიექტი. ორივე მათგანი თავდაპირველი საინჟინრო ნახაზების ნაწილია.

პროექტი კვლავ რეგულირდება ევრობანკის 2003 წლის გარემოსდაცვითი პოლიტიკით, თუმცა გარემოსდაცვითი და სოციალური სიღრმისეული შესწავლა გაფართოებულ პროექტზე 2014 წლის გარემოსდაცვითი პოლიტიკის და შეფასების კრიტერიუმებს დაექვემდებარა. მასში გათვალისწინებული იქნა ქობულეთის წყალმომარაგების კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებისა და პრაქტიკის ანალიზი და მიმოხილვა.

წყლის გამწმენდი ობიექტის მშენებლობა კომპანიას საშუალებას მისცემს შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის დირექტივასთან ურბანული

საკანალიზაციო წყლის შესახებ (ევროპის საბჭოს დირექტივა 91/271/EEC). თავდაპირველი პროექტის დასრულება სავარაუდოდ შედეგად იქონიებს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და სოციალურ სარგებელს ქობულეთის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმჯობესებული მართვის, ადგილობრივ მდინარეებსა და შავი ზღვის აუზში წყლის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, ისევე როგორც გაუფილტრავ გამდინარე წყლებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის რისკების შემცირებით. მშენებლობასთან დაკავშირებული ეფექტი თავისი არსით ლოკალიზებული და მოკლევადიანი იქნება. მისი ეფექტური აღკვეთა ან განეიტრალება შესაძლებელი იქნება ჯეროვანი საერთაშორისო სამშენებლო პრაქტიკისა და დაგეგმარების ნორმების გამოყენებით.

წყალმომარაგების ქსელით მიწოდებული წყლის ხარისხი კომპანიის მიერ გამუდმებით მოწმდება არსებული სისტემის გამოყენებით. შეფასების პარამეტრები შეესაბამება ეროვნულ და ევროკავშირის სტანდარტებს. თუმცა, მონიტორინგის პროგრამა დახვეწას საჭიროებს, რათა გათვალისწინებული იქნეს ევროკავშირის სასმელი წყლის შესახებ ევროკავშირის დირექტივიდან (დირექტივა 98/83/EC) ზოგი პარამეტრის დამატება.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა შემუშავებული იქნა სიღრმისეული შეფასებისას გამოვლენილი საკითხების მოსაგვარებლად. ხსენებული გეგმის მთავარი მოთხოვნები ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად გულისხმობს შემდეგს:

- გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური მართვისა და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას,
- საკონტრაქტო გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრას; კონტრაქტორის მუშაობის მონიტორინგის გაუმჯობესებას,
- აპარატურის/ელექტრო მოწყობილობებისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო მასალების უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესებას,
- კოლექტივისა და აქციონრების მიერ გასაჩივრების მექანიზმების გამართვას,
- სამშენებლო და საოპერაციო უსაფრთხოების პროცედურებისა და გეგმების, ნარჩენების მართვის, საგანგებო სიტუაციებისადმი მზაობისა და რეაგირების, პროექტის საზიანო ეფექტის ქვეშ მოქცეული პირების დახმარებისა და ინფორმაციის განსაჯაროების ნორმების დანერგვას.

კომპანია ევრობანკს წარუდგენს წლიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებს, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განახლებულ ვერსიებს. საჭიროების შემთხვევაში ევრობანკმა შეიძლება ვიზიტებიც განახორციელოს მონიტორინგის მიზნით.

# ტექნიკური თანამშრომლობა

## თავდაპირველი პროექტისთვის

### საპროექტო შეთანხმების ხელმოწერამდე

- ტექნიკური თანამშრომლობის I კომპონენტი: სიღრმისეული შესწავლა. სრული ფინანსური, ტექნიკური და გარემოსდაცვითი დასაბუთება შემოთავაზებულ პროექტზე. 250,000 ევრო გამოიყოფა ევროკავშირის სამრეწველო უსაფრთხოების ფედერაციის მიერ. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის II კომპონენტი: დეტალური საინჟინრო ნახაზების მომზადება და ზედამხედველობა. გამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის საინჟინრო ნახაზების შემუშავება. 49,950 ევრო გამოიყოფა კანადის მიერ. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის III კომპონენტი: ქობულეთის წყალმომარაგების კომპანიის აუდიტორული შემოწმება (ბათუმის სატრანსპორტო კომპანიის აუდიტორულ შემოწმებასთან ერთად). 47,973 ევრო გამოიყოფა ევრობანკის რესურსებიდან. დასრულებულია.

### საპროექტო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ

- ტექნიკური თანამშრომლობის IV კომპონენტი: პროექტის განხორციელებისა და შესყიდვების პროცესში ხელშეწყობა, მათ შორის დეტალური საინჟინრო ნახაზების მიმოხილვა (ერთობლივად - ქობულეთის, ბორჯომისა და რუსთავის წყალარინების პროექტებზე). სამივე პროექტის განმახორციელებელი ბიუროების დახმარება პროექტის მსვლელობის პერიოდში სატენდერო მასალების შეფასების, კონტრაქტების გაფორმების და ადმინისტრირების, ფინანსური კონტროლის, პროექტის მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის და საინჟინრო ნახაზების მიმოხილვის ჩათვლით. 444,622 ევრო გამოიყოფა შვედეთის მიერ. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის V კომპონენტი: დამატებითი დეტალური საინჟინრო ნახაზების წარმოება წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებისთვის. 86,900 ევრო ერთობლივად ფინანსდება ეკონომიკური გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდიდან და ევრობანკის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის VI კომპონენტი: კორპორატიული განვითარება და ქალაქის დახმარების პროგრამა: (i) კომპანიის ხელშეწყობა აუცილებელი კორპორატიული, ფინანსური და საოპერაციო სისტემების გაუმჯობესების საჭიროებათა გამოვლენასა და განხორციელებაში (მართვის საინფორმაციო სისტემების ჩათვლით), რათა დაკმაყოფილდეს ევრობანკის საფინანსო დოკუმენტებში წარმოდგენილი დათქმები და პირობები; მიმდინარე კორპორატიული განვითარება და (ii) ქალაქის ხელშეწყობა სატარიფო სისტემის შეფასებასა და გამართვაში, მომსახურების კონტრაქტების

შემუშავებაში. 489,344 ევრო ფინანსდება ეკონომიკური გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდიდან. დასრულებულია.

## გაფართოებული პროექტისთვის

### საპროექტო შეთანხმების ხელმოწერამდე

- ტექნიკური თანამშრომლობის I კომპონენტი: დამატებითი სიღრმისეული ანალიზი ევრობანკის საინვესტიციო კომპონენტების ტექნიკური მიმოხილვის უზრუნველსაყოფად, გაზრდილი ხარჯების გადასამოწმებლად და დასადასტურებლად, პროექტისთვის ახალი ფინანსური და ეკონომიკური მოდელის შესამუშავებლად. 74,400 ევრო ფინანსდება ევრობანკის წყლის ფონდიდან. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის II კომპონენტი: გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება გაფართოებული პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციებისთვის და თავდაპირველი პროექტისთვის. 29,050 ევრო ფინანსდება ევრობანკის წყლის ფონდიდან. დასრულებულია.
- ტექნიკური თანამშრომლობის III კომპონენტი: აუდიტორული შემოწმების განახლება, რაც ევრობანკს დაეხმარება კომპანიის განახლებულ შეფასებასა და აუდიტორულ შემოწმებაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და საბაზისო მონაცემების უზრუნველსაყოფად. 12,900 აშშ დოლარი (11,630 ევრო) ფინანსდება ევრობანკის რესურსებიდან. დასრულებულია.

### საპროექტო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ

- ტექნიკური თანამშრომლობის IV კომპონენტი: დახმარება პროექტის მართვისა და განხორციელების პროცესში, რათა დროულად და ეფექტურად განხორციელდეს პროექტის მართვა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელშეწყობის გზით. 295,000 ევრო ფინანსდება ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ.

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების გამოსავლენად დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ ევრობანკის კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორში პროექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ [ევრობანკის შესყიდვების პირობები](#): ტელ: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი ინფორმაცია

ევრობანკის პროექტების შესახებ ინფორმაცია, შესყიდვების პირობების გარდა  
ნებისმიერ სხვა საკითხზე:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

## ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკა

ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკაში გაწერილია ევრობანკის მიერ ინფორმაციის განსაჯაროების და აქციონრებთან კონსულტაციების პირობები, რათა საზოგადოების მიერ უკეთ იქნეს გაცნობიერებული ევრობანკის სტრატეგია, პოლიტიკა და საქმიანობის პრინციპები. [ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკის გასაცნობად ეწვიეთ ამ ბმულს.](#)

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

ევრობანკს დანერგილი აქვს პროექტების გასაჩივრების მექანიზმი, რათა ფიზიკური ან იურიდიული პირებიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელი მიმოხილვა იქნეს შესაძლებელი. ხსენებული საჩივრები შეიძლება ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში სავარაუდოდ გამოწვეულ ან პოტენციურ ზიანს.

### [პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესები და პროცედურები](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში შემოსული ნებისმიერი საჩივრის ფორმა შევსებული უნდა იყოს [პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებსა და პროცედურებში განსაზღვრულ ვადებში](#). თუ გაინტერესებთ საჩივარი რამდენად აკმაყოფილებს ევრობანკის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაუკავშირდით პროექტის გასაჩივრების მექანიზმის სამმართველოს (ელ. ფოსტა: [pcm@ebrd.com](mailto:pcm@ebrd.com)).